ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ხ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.05.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 036/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ქ. ვ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ქ. ვ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 15 მაისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ხ. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ქ. ვ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 10 იანვარს დააკავეს მისი მეუღლე თ. ს. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ქურდობის ბრალდებით. საჩივრის ავტორმა მეუღლის თ. ს.-ის უფლებების დასაცავად მოიწვია ადვოკატი ქ. ვ.. ადვოკატ ქ. ვ.-ს თავისი მომსახურების კონკრეტულ საფასური არ დაუსახელებია და ხ. მ.-მა მას გადასცა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა წინასასამართლო სხდომაზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი CD დისკის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა მოითხოვა. აღნიშნული CD დისკი ამოღებული იყო შემთხვევის ადგილიდან და მასზე არსებულ ჩანაწერზე აშკარად ჩანს, რომ თ. ს.-ს არანაირი შეხება არ ჰქონია დაზარალებულთან. მოსამართლემ ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ადვოკატმა ქ. ვ.-მ ასევე მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, რომლითაც ექსპერტი კატეგორიულად გამორიცხავს თ. ს.-ის დეენემის არსებობას მოპარულ ნივთზე. ადვოკატმა ასევე სასამართლოს მოახსნევინა პროკურორის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის თაობაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა იმოქმედა არა მისი მეუღლის ინტერესების დასაცავად, არამედ ბრალდების მხარის სასარგებლოდ. ადვოკატი ქ. ვ. ასრულებდა პროკურატურის და პოლიციის დავალებებს, ასევე იგი ბრალმდებელი პროკურორის სალომე ადეიშვილის ახლო ნათესავია.

1.5 ხ. მ. ითხოვს, რომ ეთიკის კომისიამ მიიღოს სათანადო ზომები და შეუწყვიტოს საადვოკატო საქმიანობის უფლება ადვოკატ ქ. ვ.-ს, რომელიც არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავის საქმიანობას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ქ. ვ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 18 მაისს. საქმის გარემოებების დადგენის მიზნით ადვოკატმა ქ. ვ.-მ 2017 წლის 27 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა დამატებით ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, იგი არ ეთანხმება მსჯავრდებული თ. ს.-ის მეუღლის ხ. მ.-ის განცხადებაში წარმოდგენილ პოზიციას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას დაუკავშირდა ხ. მ. და სთხოვა, რომ დაეცვა თავისი მეუღლის თ. ს.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს უნდა დაეცვა თ. ს.-ის უფლებები საქმეში ბრალდებულის მიერ დანაშაულის ცნობის გარეშე. მას კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების საფასური არ დაუსახელებია, ხ. მ.-მა მას გადასცა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, რაც განკუთვნილი იყო საადვოკატო მომსახურების ხარჯებისთვის.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ CD დისკზე არსებული ინფორმაცია - ვიდეო ჩანაწერი, ეწინააღმდეგებოდა კლიენტის ინტერესებს და შეეძლო თ. ს.-ის მდგომარეობის გაუარესება. ამასთანავე, მას რომც არ მოეთხოვა აღნიშნული ვიდეო ჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევისას მაინც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობდა ვიდეოჩანაწერს, ვინაიდან ეს მტკიცებულება კანონდარღვევით იყო მოპოვებული.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან ყველაფერი გააკეთა კლიენტის ინტერესების დასაცავად; მოძებნა და სასამართლოს წარუდგინა მოწმეები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ თ. ს. დაკავებისას სცემეს; მოძებნა დანაშაულის ფაქტის განმცხადებელი პირი, რომელიც სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფებოდა და რომელმაც შემდეგ სასამართლოს სხდომაზე აღიარა, რომ ნივთი თავად მოიპარა. როდესაც თ. ს. შიმშილობდა, ამის შესახებ განცხადებით მიმართა

გერმანიის და საფრანგეთის ელჩებს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, არც ხ. მ.-ს და არც მის კლიენტს თ. ს.-ს არ მოუთხოვია მისთვის საქმიდან გასვლა და საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ქ. ვ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ხ. მ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 15 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ქ. ვ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ქ. ვ.-მ წინასასამართლო სხდომაზე მოითხოვა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მწკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულად ეცნოთ, კერძოდ: ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი გარემოება დაადასტურებდა, რომ თ. ს.-ის შეხება არ ჰქონია დაზარალებულთან და ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც ექსპერტი გამორიცხავს თ. ს.-ის დეენემის არსებობას მოპარულ ნივთზე. ადვოკატმა ასევე სასამართლოს მოახსნევინა პროკურორის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის თაობაზე. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ქ. ვ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

5.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ამასთან, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას.

5.3 ადვოკატ ქ. ვ.-სა და ხ. მ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება დაიდო ზეპირი ფორმით, 2016 წელს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს უნდა დაეცვა ხ. მ.-ის მეუღლის თ. ს.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც იგი იყო ბრალდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტით. ეთიკის კომისიამ სასამართლოდან გამოითხოვა თ. ს.-ის სისხლის სამართლის საქმე N1/367-16, საიდანაც დგინდება, რომ თ. ს.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გაიმართა სხდომები 2016 წლის 23 მარტს, ამავე წლის 06 აპრილს, 24 აპრილს, 11 მაისს, 01 ივნისს, 20 ივნისს, 08 ივლისს, 23 ივლისს, 29 ივლისს, 07 აგვისტოს, 16 აგვისტოს, 31 აგვისტოს, ადვოკატი ქ. ვ. კლიენტის ინტერესის დასაცავად ყველა აღნიშნულ სასამართლო სხდომას დაესწრო. ასევე, ადვოკატმა განახორციელა შემდეგი საპროცესო მოქმედებები: ადვოკატმა სასამართლოსთან იშუამდგომლა კლიენტისათვის აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლაზე გირაოს სახით. ასევე ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. ადვოკატმა კლიენტის დასაცავად წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა.

5.4 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით, ადვოკატმა ქ. ვ.-მ წინასასამართლო სხდომაზე მოითხოვა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნოთ, კერძოდ: ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი გარემოება დაადასტურებდა, რომ თ. ს.-ის შეხება არ ჰქონია დაზარალებულთან და ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც ექსპერტი გამორიცხავს თ. ს.-ის დეენემის არსებობას მოპარულ ნივთზე, ასევე პროკურორის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის თაობაზე, განმარტავს რომ ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და საპროცესო მოქმედებების ხარისხს შეაფასებს. ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, თავად განსაზღვრავს დაცვის სტრატეგიას, სასამართლოს წინაშე წარსადგენი შუამდგომლობების და საპროცესო დოკუმენტების შინაარსს, მათი გამოყენების მიზანს და საფუძვლიანობას.

5.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე #026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად

გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.6 ადვოკატმა ქ. ვ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ მან იშუამდგომლა სასამართლოსთან წინასასამართლო სხდომაზე ვიდეოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. ადვოკატის განმარტების მიხედვით, ვიდეოჩანაწერზე არსებული ინფორმაცია ეწინააღმდეგებოდა მისი კლიენტის დაცვის ინტერესებს და შეეძლო გაეუარესებინა მისი მდგომარეობა, შესაბამისად ადვოკატმა იმოქმედა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე ვიდეოჩანაწერი კანონდარღვევით იყო მოპოვებული და ადვოკატს რომც არ ეშუამდგომლა, სასამართლო მაინც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობდა ვიდეო ჩანაწერს. ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ არჩეული სტრატეგიის შინაარსს, დაყენებული შუამდგომლობის სამართლებრივ არსს და მის საფუძვლიანობას.

5.7 ეთიკის კომისიამ გამოიკვლია თ. ს.-ის სასამართლოს საქმის N 1-367-16 სხდომის ოქმები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ბრალდების მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მტკიცებულებად წარდგენის და ექსპერტების დაკითხვის თაობაზე ადვოკატი ქ. ვ. დაეთანხმა. შემდეგ ბრალდების მხარემ თავისი ინიციატივით ამოიღო ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულებათა ნუსხიდან და მოხსნა ექსპერტების დაკითხვა. შესაბამისად ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას ადვოკატის მიმართ ექსპერტიზის დასკვნის, რომელშიც ექსპერტი გამორიცხავს თ. ს.-ის დეენემის არსებობას მოპარულ ნივთზე, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე და ექსპერტების დაკითხვის მოხსნის შუამდგომლობის დაყენების შესახებ.

5.8 ეთიკის კომისია ვერ აფასებს ადვოკატის მიერ არჩეულ სამოქმედო ტაქტიკასა და საქმის წარმოების სტრატეგიას, საჩივრის ავტორის პრეტენზიები უკავშირდება ადვოკატის ტაქტიკას, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. შესაბამისად, კოლეგიას არ გაუჩნდა ვარაუდი, რომ ადვოკატმა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით: ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე #036/17 ადვოკატ ქ. ვ.-ის /სიითი #/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/